წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ანგარიში

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით (მუხლი 67) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გაუთვალისწინებელი გადახდების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა წლის დასაწყისისათვის განისაზღვრა 100 000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 10 000 ლარის ოდენობით.

სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა თანხა 4 950 ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2023 წლის 10 -13 იანვარს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციამდე დროებითი სამუშაოების განხორციელების მიზნით 2 500 კვ.მ ბრეზენტის შეძენისათვის. საკასო ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 4 950 ლარი.